



სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 72401, ელ.  
ფოსტა: info@tesau.edu.ge

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

## ლინგვისტიკა Linguistics

ფართო სფერო - 02. ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები (Arts and Humanities)  
ვიწრო სფერო - 023. ენები (Languages)  
დეტალური სფერო - 0232. ლიტერატურა და ლინგვისტიკა (Literature and Linguistics)  
(0232.1.3. ფილოლოგია Philology; 0232.2.1. ლინგვისტიკა Linguistics)

პროგრამის ხელმძღვანელები:

ნუნუ გელდიაშვილი, პროფესორი ქართული ენის მიმართულებით

მანანა ღარიბაშვილი, პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით

1. დამტკიცებულია ფაკულტეტის  
საბჭოს მიერ  
ოქმი #22, 06 დეკემბერი, 2022წ.  
ფაკულტეტის დეკანი: ასოც. პროფესორი

/ შორენა ლაზვიაშვილი /

2. დამტკიცებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის  
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ  
ოქმი #17, 07 დეკემბერი, 2022 წ.  
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სანსახურის ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი

/ შალვა ჭკადუა /

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ  
ოქმი #29, 07 დეკემბერი, 2022წ.  
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
უნივერსიტეტის რექტორი: პროფესორი

/ ირმა შიოშვილი /

- ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
- დეპარტამენტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
- პროგრამის სახელწოდება: ლინგვისტიკა  
Linguistics

- პროგრამის ანალოგ(ებ)ი:

პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსი, ამ სფეროს განვითარების ტენდენციები საქართველოში და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკა (უცხოეთის უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების გამოცდილება).

- ✓ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
[https://www.bsu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_389\\_2.pdf](https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_389_2.pdf)
- ✓ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო  
<http://www.atso.edu.ge/index.php/ma-humanitarian-geo>
- ✓ ბოსტონის უნივერსიტეტი, აშშ  
სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტიკა“  
<https://www.bu.edu/academics/grs/programs/linguistics/ma-in-linguistics/>
- ✓ რედბაუდის უნივერსიტეტი, ნიჟმეგენი, ნიდერლანდები  
სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტიკა“  
<https://www.masterstudies.com/MA-in-Linguistics/Netherlands/Radboud/>
- ✓ მანჩესტერის უნივერსიტეტი, მანჩესტერი, დიდი ბრიტანეთი  
სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტიკა“  
<https://www.masterstudies.com/MA-in-Linguistics/United-Kingdom/University-of-Manchester/>
- ✓ ჩრდილო-აღმოსავლეთ ილინოის უნივერსიტეტი, ჩიკაგო, ამერიკა  
სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტიკა“  
<https://www.masterstudies.com/M.A.-in-Linguistics/USA/NEIU/>
- ✓ ვერონას უნივერსიტეტი, იტალია  
სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტიკა“  
<https://www.masterstudies.com/Masters-Degree/Linguistics/>
- ✓ ატლანტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ჰონოლულუ, აშშ  
სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტიკა“  
[https://www.onlinestudies.com/Master-of-Linguistics/USA/Atlantic-International-University/MastersPrograms/?\\_gl=1\\*nuqbhk\\*\\_ga\\*ODc3MTI1NTA0LjE2NTI0NDY1NDI.\\*\\_ga\\_82TYZBKWSG\\*MTY1MjQ0NjU1MC4xLjEuMTY1MjQ0Njg4MS4w](https://www.onlinestudies.com/Master-of-Linguistics/USA/Atlantic-International-University/MastersPrograms/?_gl=1*nuqbhk*_ga*ODc3MTI1NTA0LjE2NTI0NDY1NDI.*_ga_82TYZBKWSG*MTY1MjQ0NjU1MC4xLjEuMTY1MjQ0Njg4MS4w)
- ✓ ლაიპციგის უნივერსიტეტი, გერმანია  
სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტიკა“  
<https://www.philol.uni-leipzig.de/institut-fuer-linguistik/studium/master-linguistik-linguistics>
- ✓ ჰუმბოლტის უნივერსიტეტი, ბერლინი, გერმანია  
სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტიკა“  
<https://www.studycheck.de/studium/linguistik/hu-berlin-6689>
- ✓ კიოლნის უნივერსიტეტი, გერმანია  
სამაგისტრო პროგრამა „ლინგვისტიკა“  
<https://www.studycheck.de/studium/linguistik/uni-koeln-6986>

▪ **პროგრამის ხელმძღვანელები:**

**ნუნუ გელდიაშვილი**, პროფესორი ქართული ენის მიმართულებით

საკონტაქტო ინფორმაცია:

☎. 0(350) 27 61 05; მობ.: (+995) 593 14 64 05

✉ [nunu.geldiashvili@tesau.edu.ge](mailto:nunu.geldiashvili@tesau.edu.ge)

**მანანა ღარიბაშვილი**, პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით

საკონტაქტო ინფორმაცია:

☎. 0(350) 27 11 14; მობ.: 551 10 31 14

✉ [manana.garibashvili@tesau.edu.ge](mailto:manana.garibashvili@tesau.edu.ge)

▪ **აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა (II საფეხური)

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** ძირითადი

▪ **სწავლების ენა:** ქართული

▪ **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფილოლოგიის მაგისტრი

Master of Philology

▪ **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი (ECTS),  
სწავლის ხარგრძლივობა 2 (ორი) წელი.

▪ **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით:

- არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთო სამაგისტრო გამოცდა (ასევე შესაძლებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების დაკმაყოფილება);
- უნივერსიტეტის მოთხოვნა - წერიტი გამოცდები სპეციალობასა (ლინგვისტიკა) და უცხო ენაში(ინგლისური/გერმანული/რუსული), რომლებიც ადმინისტრირდება უნივერსიტეტის მიერ (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) და ფასდება 100 ქულიანი სისტემით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 51 ქულით.  
მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხო ენის (ინგლისური/გერმანული/რუსული) მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა. ტესტი ითვალისწინებს ოთხივე უნარის (კითვა, წერა, მოსმენა, საუბარი) შემოწმებას. კანდიდატი თავისუფლდება უცხო ენის გამოცდიდან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში (საერთაშორისო აღიარებული ორგანიზაციების მიერ გაცემული სერტიფიკატი).

უცხო ენის B2 დონის შესაბამისი სერტიფიკატების და ზღვრების ნუსხა:

✓ **ინგლისური ენა**

- TOEFL Essentials overall band score (1–12);
- TOEFL Essentials overall band score (1–12): B2 8-9.5 (8 ქვედა ზღვარი);
- TOEFL IBT total score (0–120): B2 72–94 (72 ქვედა ზღვარი);
- TOEFL ITP – 543;

- IELTS Score 5.0 – 6.0 (5.0 ქვედა ზღვარი);
- FCE 160-172 (160 ქვედა ზღვარი).
- ✓ **რუსული ენა**
- ТРКИ (TORFL) - 2 (Русский язык. Второй сертификационный уровень) - B2 დონე;
- ТРКИ-2 (Тест русского языка как иностранного)შეესაბამება B2 დონეს.
- ✓ **გერმანული ენა**
- Goethe-Zertifikat B2 (მაქსიმალური ქულა 100; აქედან კითხვა - 25 ქულა, მოსმენა - 25 ქულა, წერა - 25 ქულა, საუბარი - 25 ქული). აუცილებელი პირობაა თითოეულ კომპონენტში ქულების 60% დაგროვება);
- OSD B2 -საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდა გერმანულ ენაში (ილიას უნივერსიტეტის ავსტრიული კულტურის ცენტრი);
- DSD (Deutsches Sprachdiplom) B2.

პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების / საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატების / სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად.

კონკურსის შემთხვევაში (თანაბარი ქულების დაგროვებისას) უპირატესობა მიენიჭება:

ა/. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას/პუბლიკაციას;

ბ/. ტრენინგს შესაბამის სფეროში;

გ/. განათლებას ჰუმანიტარული, სოციალური და განათლების მეცნიერებების მიმართულებით.

პროგრამაზე ვაკანტური ადგილები, გამოცდის ვადები, დაშვების პირობები, საგამოცდო თემატიკა ლიტერატურის ჩამონათვალით და შეფასების კრიტერიუმები ქვეყნდება თესაუ-ს ვებგვერდზე <http://www.tesau.edu.ge/>, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის (მაგისტრატურაში მიღების პირობები რეგულირდება რექტორის ბრძანებით).

მაგისტრანტი აფორმებს უნივერსიტეტთან ხელშეკრულებას, გადის აკადემიურ და ადმინისტრაციულ რეგისტრაციას.

## ▪ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

1. მოამზადოს ლინგვისტიკის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე, თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული კომპეტენციის, მაღალკვალიფიციური, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე ფილოლოგი (ლინგვისტი), რომელიც გაიაზრებს სფეროს კომპლექსურობას, სპეციფიკას და იქნება განათლების მეორე საფეხურის სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი სპეციალისტი;

2. მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ლინგვისტიკის სფეროში, რაც ძირითადად მოიცავს: ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის, ენათა ტიპოლოგიის, მორფო-სინტაქსის, ტექსტის ლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ლინგვოსტილისტიკისა და გამოყენებითი ლინგვისტიკის აქტუალური საკითხების/თემების/პრობლემების ფართო სპექტრს; დააუფლოს მათ კრიტიკულ გააზრებას, უახლესი მიღწევების გათვალისწინებით დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას და ინოვაციების შექმნის საფუძვლებს; ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებას და გაუთვალისწინებელ, მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებას;

3. აღჭურვის ლინგვისტური კვლევითი ნაშრომის დაგეგმვისა და დამოუკიდებლად განხორციელების სიღრმისეული და სისტემური მეთოდოლოგიური ცოდნით; განუვითაროს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ინტეგრაციის, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენების, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვის უნარ-ჩვევები/კომპეტენციები;
4. გამოუმუშავოს ისეთი პიროვნული ღირსებები და მოქალაქეობრივი ღირებულებები (ეროვნების მიუხედავად), როგორცაა: ურთიერთპატივისცემა, თანადგომა, ჰუმანურობა, სხვისი პროფესიონალიზმის აღიარება და შემდგომ, ამის საფუძველზე, საკუთარი და სხვისი პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა; პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; არაპროფიტიზირებად სასწავლო ან სამუშაო გარემოსთან ადვილად ადაპტირება.

ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური თვალსაწიერის გაფართოება, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ათვისებით, მნიშვნელოვნად ამაღლებს მაგისტრანტის კომპეტენციას, როგორც თეორიულ, ისე გამოყენებით ასპექტში, რაც უზრუნველყოფს მის მაღალკვალიფიციურობასა და კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე არა მარტო საქართველოს, არამედ უცხოეთის სივრცეშიც და წარმატებით დასაქმებას (კარიერულ წინსვლას) ყველგან, სადაც პროფესიონალი, ღრმა ცოდნის მქონე ლინგვისტი-ფილოლოგის, მკვლევრისა თუ პროფესორ-მასწავლებლის საჭიროებაა, ხოლო, სურვილის შემთხვევაში, მის შემდგომ პროფესიულ განვითარებას, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში.

პროგრამა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, შეესაბამება უნივერსიტეტის მიზანს, მისიასა და სტრატეგიას, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო პოლიტიკას/პროფილს ჰუმანიტარული (ინტერდისციპლინური/მულტიენობრივი) კვლევების განვითარებისა და გაღრმავების მიზნით და ხელს უწყობს სპეციალისტს, წვლილი შეიტანოს ლინგვისტიკის სფეროს (ფილოლოგიის დარგის) წინსვლა-განვითარებაში, უცხოენოვან ქვეყნებთან საქართველოს/რეგიონის ინტეგრაციასა და ქართული და უცხოური კულტურის, საზოგადოების ფასეულობების დახვეწასა და ფორმირებაში (ინტერკულტურული კომუნიკაციის / ინტერკულტურული დიალოგის გაღრმავებაში).

## ■ სწავლის შედეგი

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული, დასახული მიზნებიდან და პროფილიდან გამომდინარე, ფლობს შემდეგ კომპეტენციებს:

### ➤ ცოდნა და გაცნობიერება

1. (1.1.) ავლენს ლინგვისტიკის სფეროსთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეულ, სისტემურ (მაღალპროფესიულ და კვალიფიციურ) თეორიულ ცოდნას უახლესი მიღწევების გათვალისწინებით (ლინგვისტურ მოძღვრებათა თეორიული საფუძვლები, მისი ამოსავალი ცნებები; ლინგვისტიკის ძირითადი მიმართულებები, სკოლები, გამოჩენილ ენათმეცნიერთა თეორიული კონცეფციები და კვლევის მეთოდები; ენათა ტიპოლოგიის, მორფოსინტაქსის, ტექსტის ლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, გამოყენებითი ლინგვისტიკისა და ლინგვოსტილისტიკის აქტუალური/უმთავრესი საკითხები/თემები/პრობლემემატიკა);

**2.(1.2.)** სიღრმისეულად განიხილავს თეორიული და ემპირიული ლინგვისტური კვლევის სხვადასხვა ტრადიციულ და უახლეს (თეორიულ და პრაქტიულ) მეთოდს, თანამედროვე მიდგომებს, ენობრივ ვარიაციას, ენის ცვლილებასა და მის როლს საზოგადოებაში; ფლობს საკვლევი პრობლემის დასმის/განსაზღვრისა და ლინგვისტური კვლევითი ნაშრომის შექმნის მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ ცოდნას;

**3. (1.3.)** ცოდნის კრიტიკული გააზრებით და ლინგვისტიკის სფეროში თანამედროვე/უახლესი მიღწევების გათვალისწინებით, მრავალმხრივი ანალიზის შედეგად, ქმნის საფუძველს ინოვაციებისა და ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.

➤ **უნარები**

**4. (2.1.)** საფუძვლიანად მსჯელობს ლინგვისტიკის სფეროს საკითხებზე, სიღრმისეულად აანალიზებს და გადმოსცემს საკვლევი ენ(ებ)ის სტრუქტურა-ფუნქციონირების ძირითად თავისებურებებს; სისტემურად აღწერს და ხსნის ლინგვისტიკის უახლეს/თანამედროვე პროცესებს, ენათა სხვადასხვა დონეზე ტიპოლოგიის შედეგად გამოკვეთილ იზომორფიზმებსა თუ ალომორფიზმებს, ტექსტს აფასებს და აანალიზებს დისკურსის, ლინგვოკულტურული და სოციოლინგვისტური თავისებურებების გათვალისწინებით;

**5. (2.2.)** ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედებს ადეკვატურად და თავისუფლად; ამჟღავნებს ცალკეული და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის, გადაჭრის გზების მოძიების კომპეტენციას და წარმოადგენს ეფექტურ, ორიგინალურ გზას, იდეასა და ხედვას (მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით);

**6. (2.3.)** კომპლექსურად განსაზღვრავს და პრაქტიკულად იყენებს ენათა სტრუქტურულ კომპონენტებს, ლინგვისტურ ტერმინოლოგიას, საანალიზო/ემპირიული მასალის, საჭირო ლინგვისტური წყაროების მოძიება-დამუშავების ხერხებს; მიზნობრივად სარგებლობს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსებით; ითვალისწინებს თეორიულ დისკურსებს და ლინგვისტური კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებით დამოუკიდებლად ქმნის სტრუქტურულად და შინაარსობრივად გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არსებითი აკადემიური სტანდარტების შესაბამის ორიგინალურ ლინგვისტურ სამეცნიერო ნაშრომს;

**7. (2.4.)** კრიტიკული ანალიზისა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზით, სხვადასხვა ავტორის ხედვის გათვალისწინებით, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობით, აყალიბებს ზეპირ და წერილობით დასაბუთებულ საკუთარ დასკვნებს და მეცნიერული ობიექტურობის პრინციპების, აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვით, კვლევის შედეგებს წარუდგენს პროფესიულ საზოგადოებას/დარგის სპეციალისტებს.

➤ **პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობა**

**8. (3.1.)** ამჟღავნებს ენობრივი მოვლენებისა და ფაქტების დამოუკიდებლად სწავლის, კვლევის, დამუშავებისა და ანალიზის უნარს, რითაც წვლილი შეაქვს ლინგვისტიკის სფეროს დარგობრივი/პროფესიული ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში;

9. (3.2.) სხვადასხვა (კომპლექსურ/არაპროგნოზირებად) სასწავლო, საქმიან და საკვლევ გარემოში ადაპტირებს შესაბამისი მართვის სტრატეგიული მიდგომებით, მუშაობს ინდივიდუალურად და გუნდურად, მათ შორის განსაზღვრულ ვადებსა და ინტენსიურ რეჟიმშიც;

10. (3.3.) პატივს სცემს და აფასებს ეროვნულ და დასავლურ ღირებულებებს; ტოლერანტულია ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ და საკუთარი ხედვის სხვებისადმი (გუნდის წევრების) გაზიარებით პასუხისმგებლობას იღებს საუკეთესო ჩვევების/ქცევის დამკვიდრება-განვითარებასა და მათ პროფესიულ თუ პიროვნულ განვითარებაში.

▪ **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები**

➤ **სწავლება-სწავლის მეთოდები:**

სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტისთვის სასწავლო კომპონენტის განხორციელება (თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დაუფლება/გადაცემა) ხდება სწავლება-სწავლის შემდეგი ძირითადი მეთოდების/ფორმების გამოყენებით:

- ❖ ლექცია;
- ❖ პრაქტიკული მუშაობა (ჯგუფში მუშაობა, სემინარი და სხვა);
- ❖ კვლევითი სემინარი;
- ❖ დამოუკიდებელი სამუშაოების განხორციელება;
- ❖ ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები;
- ❖ და სხვა.

➤ **სწავლება-სწავლის მეთოდებით გათვალისწინებული აქტივობები**

სწავლება-სწავლის პროცესში სწავლის თითოეულ შედეგთან დაკავშირებით შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს შემდეგი აქტივობები:

- გონებრივი იერიში;
- თანამშრომლობითი სწავლება-სწავლა;
- შემთხვევის ანალიზი;
- მასალის, საანალიზო წყაროების, რესურსების დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავება;
- ტექსტების და სხვა მასალის კომენტირება, მათი ინტერპრეტაცია და/ან ანალიზი;
- დისკუსია /დებატები;
- პრეზენტაცია ზეპირად და წერილობით, მათ შორის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის დაგეგმვა და განხორციელება;
- ურთიერთშეფასება;
- პრაქტიკა;
- კურიკულუმის მიღმა აქტივობები;
- შესაბამისი ციფრული ინსტრუმენტებისა და ენის კორპუსების გამოყენება;
- აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენება.

სწავლება-სწავლა მიმდინარეობს ასევე: კონსტრუქტივიზმის, ვერბალური, პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებული, ახსნა-განმარტებითი, ევრისტიკული, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, აღწერითი, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების/ფორმების კომბინაციით, ინდუქცია-დედუქციის პრინციპებზე დაყრდნობით, ინტერაქტიულად.



„ლინგვისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების ერთობლიობა ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაციას, ორიენტირებულია სტუდენტზე და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლება-სწავლის მეთოდს/ფორმას და აქტივობას ირჩევს ლექტორი, განსაზღვრავს საგნის მიზანს, ამოცანებს, სავარაუდო შედეგს (ცოდნა, უნარი, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხარისხი), ასახავს სილაბუსში და პასუხისმგებელია შედეგების მიღწევაზე.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლებელია, იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ, რამდენიმე ან სხვა რომელიმე აქტივობას, კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

სწავლება-სწავლის პროცესში სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული/გამოსაყენებელი სწავლება-სწავლის მეთოდები/ფორმები და აქტივობები ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთში გადადის, რაც ხელს უწყობს და უზრუნველყოფს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებასაც, პერსონალსა და სტუდენტებს, ასევე სტუდენტებს შორის ინტერაქციას.

სწავლების ერთი კონკრეტული მეთოდი მხოლოდ ერთი რომელიმე უნარის განვითარებაზე არ არის ორიენტირებული და ბევრ შემთხვევაში სხვა უნარების (მაგ.: კრიტიკული და ანალიტიკური) განვითარებასაც უწყობს ხელს.

- ❖ **ლექცია** - შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია, ყურადღება მიექცეს გადასაცემი/განსახილველი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.
- ❖ **პრაქტიკული** - აერთიანებს სწავლების ყველა იმ აქტივობას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ დავალებას. ასეთი მუშაობა უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გადატანის უნარ-ჩვევების განმტკიცებას.
- ❖ **სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა, სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. პედაგოგის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს/რეფერატს და სხვ. სემინარზე მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სემინარის ხელმძღვანელი პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.
- ❖ **დამოუკიდებელი მუშაობა** - ასეთი მუშაობით სტუდენტი ამოწმებს მასალის ათვისების ხარისხს.
- ❖ **კონსულტაციები** - მათი მიზანია სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრა, მაგალითად, ობიექტური მიზეზების გამო სილაბუსის გრაფიკიდან ჩამორჩენა, მიცემული თეორიული მასალის არასათანადოდ გაცნობიერება, შეუსრულებელი დავალებების აღდგენა და სხვა; კონსულტაციები შეიძლება განხორციელდეს დისტანციურადაც.
- ❖ **ელექტრონული სწავლება (E-learning) – გულისხმობს** სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიაური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება არის სამი სახის: **დასწრებული**, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით. **ჰიბრიდული** (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში. **მთლიანად დისტანციური** სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური



თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარობს. დისტანციური სწავლებისთვის გამოიყენება Moodle, Google Classroom და Google Hangout (Meet) პლატფორმები. გამოიყენება სინქრონული და/ან ასინქრონული სწავლების კომუნიკაციის ფორმა. სასწავლო კურსის მასალის გადასაცემად შერჩეული იქნება ელექტრონული სწავლების მეთოდები, ელემენტები და რელევანტური ელექტრონული ტექნოლოგიური ინსტრუმენტები. გამოიყენება ელექტრონული სწავლების სხვადასხვა საშუალებები - ტექსტური, აუდიო და ვიდეო მასალა, ანიმაციები, სიმულაციები, Power Point სლაიდები და სხვ.

- ❖ **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.
- ❖ **კონსტრუქტივიზმი** - კონსტრუქტივიზმის ძირითადი იდეა ისაა, რომ დავებმართო სტუდენტებს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვებაში, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანაში, დამოუკიდებლად აზროვნებაში, ცოდნის კონსტრუირება-შენებაში. კონსტრუქტივიზმის მიხედვით, სტუდენტი სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა. სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგია გულისხმობს სწავლების პროცესში სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებას, მათ წახალისებას, რათა შემოღონ ფაქტების, მოვლენების, ცნებების ანალიზი და ინტერპრეტაცია. კონსტრუქტივისტული სწავლების თეორია სტუდენტთა ინტერესებზე, მათ წინა ცოდნასა და გამოცდილებაზეა აგებული.
- ❖ **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ჯგუფის მუშაობის პროცესში, წევრებს შორის გადანაწილდეს ფუნქციები. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- ❖ **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- ❖ **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- ❖ **ანალიზის მეთოდი** - გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- ❖ **სინთეზის მეთოდი** - გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.
- ❖ **ინდუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- ❖ **დედუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- ❖ **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - მეთოდი ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტი სურვილის მიხედვით ამუშავებს რეფერატს ან/და პრეზენტაციას, სტატიებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის.

- ❖ **წერითი მუშაობის მეთოდი** - გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.
- ❖ **ეგრისტიკული მეთოდი** - ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
- ❖ **გონებრივი იერიში** - ეს გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/ პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
  - პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა
  - დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე)
  - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან
  - კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
  - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით
  - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
- ❖ **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
- ❖ **დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- ❖ **დემონსტრირება** - ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც მასწავლებლის, ისე - სტუდენტის მიერ, რაც გვეხმარება თვალსაჩინო გახადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
- ❖ **ინტერაქტიული სწავლება** - თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმა დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე, რომლებიც მიიღწევა ინტერაქტიული სწავლებით. ინტერაქტიული სწავლება ეყრდნობა პედაგოგისა და სტუდენტის ახალი როლების ძიებასა და ჰუმანიზმის პრინციპებს. ის მიზნად ისახავს პედაგოგზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ითვალისწინებს ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. ინტერაქტიულ სწავლებას შემოაქვს პედაგოგისა და სწავლებისა და ცოდნის შეფასების ახალი სტრატეგიები. შესატყვისად, იცვლება სწავლების მიზანი. იგი ორიენტირებული ხდება არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. სტუდენტი ინტერაქტიული სწავლების სუბიექტია, მისი აქტიური მონაწილეა. სწავლების საფუძველია სტუდენტის პირადი გამოცდილება, მისი თვისებები და ცოდნა.

## ▪ დასაქმების სფერო

პროგრამის სწავლის შედეგები - თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები - უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე და წარმატებით დასაქმებას ყველგან, სადაც პროფესიონალი ლინგვისტი-ფილოლოგის და/ან მკვლევრის საჭიროებაა; ამ მხრივ დასაქმების სპექტრი საკმაოდ ფართოა:

- პროფესიული და უმაღლესი საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები (კოლეჯი, ინსტიტუტი, უნივერსიტეტი);
- სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი და კულტურული პროექტები;
- საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები;
- ხელოვნებისა და კულტურის სფეროს დაწესებულებები;
- საგანმანათლებლო ცენტრები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ასოციაციები/საზოგადოებები/ინსტიტუციები;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ-გამოცემები);
- გამომცემლობა, რედაქციები;
- ტურისტული და სხვა კომპანიები;
- საოფისე სამსახურები;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები (განათლების დამატებითი პროგრამის ათვისებისა და მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ).

სურვილის შემთხვევაში, პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეეძლება განათლების შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში.

## ▪ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განსახორციელებლად უნივერსიტეტში არსებობს შესატყვისი მატერიალური რესურსი, ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა: ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს წიგნთსაცავი, სააბონენტო და სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ტექნიკა, სააქტო და საპრეზენტაციო დარბაზები, წიგნადი ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული), ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი საერთაშორისო ელექტრონულ-საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობით (Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>); e-Duke Journals Scholarly Collection (<https://read.dukeupress.edu/>); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/>) SAGE Premier (<https://journals.sagepub.com>); Edward Elgar Publishing Journals (<https://www.elgaronline.com/...>); პროფესორ-მასწავლებელთა პირადი წიგნადი ფონდი, ETAG - ის ბიბლიოთეკა (როგორც რეგიონალური, ასევე ცენტრალური), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტისა და ამერიკის შესწავლის ცენტრის წიგნადი ფონდი.

საპრეზენტაციო დარბაზები, ევროპული სამეცნიერო სივრცე (საგრანტო ოფისი) და შეუზღუდავი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები ემსახურება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მაგისტრანტი, საჭიროებისამებრ, ისარგებლებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკით, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკით, ბრიტანეთის საბჭოს ბიბლიოთეკით, გოეთეს ინსტიტუტის ბიბლიოთეკით, აგრეთვე, ბეჭდური ბაზების პარალელურად შესაძლებლობა ექნება, გამოიყენოს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ონლაინ სამეცნიერო ბაზები (Elsevier-ის: ScienceDirect®online; Scopus® online; Scival Funding (Funding Institutional).

უნივერსიტეტში სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო; გათვალისწინებულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები:

- ✓ კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები;
- ✓ ელექტრო ენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- ✓ სასმელი წყლით უზრუნველყოფის 24 საათიანი მომსახურების რეჟიმი;
- ✓ კვების ბლოკი;
- ✓ საინტერნეტო სივრცე;
- ✓ გათბობის საშუალებები;
- ✓ სველი წერტილები;
- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ✓ ევაკუაციის გეგმა;
- ✓ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

▪ **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა რეგულირდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულებით (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი #5 14..03.2018წ.).

სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ძირითად პრინციპებს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა, მრავალკომპონენტურობა და უზრუნველყოფის თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას. კერძოდ: შეფასების სტრუქტურა, საგნის ფარგლებში, იყოფა ორ ელემენტად - შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა, ყოველი კონკრეტული შეფასება ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა.

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები შესაძლოა, მოიცავდეს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის კომპეტენციების შეფასების მეთოდებს:

- წერიტი/ზეპირი გამოცდა,
- ზეპირი გამოკითხვა,
- წერიტი გამოკითხვა,
- საშინაო დავალება, საშინაო ნაშრომი,
- ინდივიდუალური და/ან ჯგუფური პრაქტიკული/თეორიული სამუშაო,
- პრეზენტაცია
- და სხვ.

სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ კომპონენტში სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს შემდეგი საშუალებები:

- ტესტი;
- დემონსტრირება;
- პრეზენტაცია;
- სასემინარო მოხსენება;
- რეფერატი;
- თეორიული დავალების შესრულება;

- პრაქტიკული დავალების შესრულება;
- დისკუსიაში/დებატში მონაწილეობა;
- გუნდური მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი;
- და სხვ.

საგნის სილაბუსში, სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია კრიტერიუმებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების საშუალებების დაზუსტება (დეტალურად იხილეთ პროგრამის სილაბუსები).

შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რომლითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასება ხდება ქულათა სისტემით, ყოველი საგნის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას. საგანში დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. სტუდენტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მის მიერ უშუალოდ დასკვნით გამოცდაზე მიღწეული წარმატება, არამედ მთელი კურსის გავლის პროცესში ნაჩვენები შედეგები.

**საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

- 91-100 ქულა - ნიშანი A (ფრიადი)
- 81-90 ქულა - ნიშანი B (მალიან კარგი)
- 71-80 ქულა - ნიშანი C (კარგი)
- 61-70 ქულა - ნიშანი D (დამაკმაყოფილებელი)
- 51-60 ქულა - ნიშანი E (საკმარისი)

**არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:**

41-50 - ნიშანი FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება აქვს მაქსიმუმ ერთი თვის ვადაში დამოუკიდებელი მუშაობის შედეგად გადააბაროს მხოლოდ დასკვნითი გამოცდა. ასეთ შემთხვევაში მის საბოლოო შეფასებაში გათვალისწინებული იქნება საგნის სხვა კომპონენტები მის მიერ სემესტრის განმავლობაში დაგროვილი ქულათა ჯამიც.

40 და ნაკლები ქულა - ნიშანი F (ჩაიჭრა), სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს შესასრულებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი რეგისტრირდება საგანზე, რაზეც დგება ინდივიდუალური ცხრილი საგნის ასათვისებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - 0 ქულა.

სასწავლო კურსის ლექტორი განსაზღვრავს დასკვნითი და შუალედური შეფასებების კომპეტენციის მინიმალურ გადასალახ ზღვარს, რომელიც არ აღემატება შუალედური და დასკვნითი შეფასებების 60 %-ს.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია თესაუ-ს ვებგვერდზე: თესაუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია [www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge)

## ■ სწავლების ორგანიზების თავისებურებები

სწავლების ხანგრძლივობა – 2 (ორი) აკადემიური წელი - 4 სემესტრი:

✓ სწავლების პირველი აკადემიური წელი: 60 კრედიტი

✓ სწავლების მეორე აკადემიური წელი: 60 კრედიტი

პროგრამა საკმაოდ მოქნილია და წარმოადგენს სასწავლო კომპონენტის, დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებული საკვალიფიკაციო სამაგისტრო ნაშრომისა და პროფესიული პრაქტიკის ერთობლიობას. იგი შედგება ძირითადი სწავლის სფეროს (ლინგვისტიკა) სავალდებულო, სწავლის სფეროს არჩევითი და თავისუფალი არჩევითი კომპონენტებისაგან (თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითობის მიზანია, სტუდენტს მიეცეს საკუთარი სასწავლო / კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე, საფეხურის შესაბამისი კურსების არჩევის შესაძლებლობა).

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტიდან 90 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს (სასწავლო კურსები - 80 კრედიტი, პრაქტიკა -10 კრედიტი), 30 კრედიტი - კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და საჯარო დაცვა).

ასეთი დაშვება/გადანაწილება ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული პრინციპის გამყარებას და შრომის ბაზარზე წარმატებით დასაქმებას, რადგან ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების კომბინირება იძლევა ყველა კომპეტენციის სრულფასოვანი გამომუშავების შესაძლებლობას და შედეგების მიღწევის რელევანტურობას.

ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ისე - დამოუკიდებელ მუშაობას. სალექციო კურსები გადნაწილებულია სამ სემესტრზე, მეოთხე სემესტრში კი დატვირთვა მოდის სამაგისტრო ნაშრომზე.

სასწავლო კურსების სილაბუსებში კვირაში 2 სთ. (სულ 60 სთ. წელიწადში) ეთმობა აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებთან დამატებით ინდივიდუალურ საკონსულტაციო მუშაობას. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყოფილი დრო გადნაწილდება შესაბამისად თითოეულ სტუდენტზე; საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, სხვა სფეროში კვალიფიკაციის მქონე მაგისტრანტისათვის), დაინიშნება დამატებითი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები.

**პრაქტიკული კომპონენტი:** „ლინგვისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი დაგეგმილი და ორგანიზებულია თანამიმდევრული სტრუქტურით და მჭიდროდაა დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან. მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამაში იგი წარმოდგენილია:

✓ თეორიულ სასწავლო კურსებში გათვალისწინებული პრაქტიკული/სასემინარო საათებით;

✓ პროფესიული პრაქტიკით.

პროფესიულ პრაქტიკას ეთმობა 10 კრედიტი, რაც თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების / განმტკიცების საუკეთესო საშუალებას იძლევა და ეხმარება სტუდენტს დამოუკიდებელი საქმიანობის წარმართვის პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

პროფესიულ პრაქტიკას მაგისტრანტები, სურვილის შესაბამისად, ინდივიდუალურად შემუშავებული გრაფიკის მიხედვით, გაივლიან, როგორც საჯარო, ისე კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო შეფასება (მაქსიმუმი - 100 ქულა) განხორციელდება მათ მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი ცნობის, დღიურის, წერილობითი ანგარიშისა და პრეზენტაციის საფუძველზე (შუალედური - მაქსიმუმ 60 ქულისა და დასკვნითი - მაქსიმუმ 40 ქულის შეფასებების მეშვეობით (კონკრეტული პირობები, მინიმალური ზღვრები და შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში).



## ▪ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი:

„ლინგვისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია ორიენტირებულია კვლევაზე; თეორიული სასწავლო კურსები თავიდანვე ეხმარება სტუდენტს კვლევითი კომპეტენციის - სამეცნიერო-კვლევითი უნარების თანამიმდევრულ განვითარება-გაღრმავებაში, ლინგვისტიკის სფეროს შესაბამისი კვლევის მეთოდების შესწავლასა და კვლევითი ინტერესების განსაზღვრა-ჩამოყალიბებაში; ყოველივე ეს უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის სწორად დაგეგმვას და დამოუკიდებლად განხორციელებას, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე დადასტურდება სამაგისტრო ნაშრომის წარმატებული დაცვით.

პროგრამის კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომი) დათმობილი აქვს 30 კრედიტი. იგი მიზნად ისახავს ლინგვისტური სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების (დაგეგმვა-განხორციელების) მეთოდოლოგიური და პრაქტიკული/ტექნიკური ცოდნისა და ჩვევების განმტკიცებას, პროფესიული კვლევითი კულტურის ფორმირებასა და განვითარებას.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისათვის ჩატარებული კვლევის საფუძველზე სტუდენტი აგროვებს დარგში თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რითაც წვლილი შეაქვს ლინგვისტიკის სფეროს (ზოგადად კი ფილოლოგიის დარგის) განვითარებასა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში.

სტუდენტი ვალდებულია, შექმნილი დარგობრივი ცოდნისა და დამოუკიდებელი კვლევის უნარ-ჩვევების გამოყენებით, მოამზადოს და IV სემესტრის დასრულებამდე წარმოადგინოს სამაგისტრო დონის მოთხოვნების შესაბამისი, სტრუქტურულად და შინაარსობრივად ერთიანი/დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, რომელიც დაცვამდე აუცილებლად შემოწმდება პლაგიატის (ტურნიტინის) პროგრამაზე.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი დაიშვება, თუ მას შესრულებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სხვა მოთხოვნა, არა აქვს ფინანსური და აკადემიური დავალიანება და აქვს ხელმძღვანელისა და რეცენზენტის რეცენზია-შუამდგომლობა დაცვაზე დაშვების შესახებ.

დაცვა ტარდება კომისიის წინაშე საჯაროდ. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, მისი დაცვის შემდეგ. საბოლოო შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ხელმძღვანელ(ებ)ის, რეცენზენტ(ებ)ისა და კომისიის შეფასებები შესაბამისი პროპორციების დაცვით. კომისიის წევრთა საშუალო შეფასების მაქსიმალური ქულაა - 60, ხოლო ხელმძღვანელისა და რეცენზენტის მაქსიმალური ქულა - 40.

სამაგისტრო ნაშრომის დამტკიცების, მომზადების, გაფორმების, წარდგენის, საჯარო დაცვაზე დაშვების პირობები, დაცვის პროცედურები, შეფასების სისტემა და შეფასების წესი განსაზღვრულია საუნივერსიტეტო დონეზე - „სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ“ დებულებით და ასევე სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით.

## ❖ კვლევის არეალი/თემატიკა

მაგისტრანტებისათვის შესათავაზებელი საორიენტაციო კვლევის არეალი/თემატიკა იქნება საკმაოდ მრავალფეროვანი. ლინგვისტიკის სფეროდან, პროგრამის ფარგლებში, ძირითადად შესრულდება თეორიული და ემპირიული ხასიათის კვლევები, რომელთა საანალიზო ბაზაც, სტუდენტის სურვილის გათვალისწინებით, შეიძლება იყოს: ენ(ებ)ის ფონეტიკური, ლექსიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ტექსტობრივი დონეები; მათი სტრუქტურისა და ფუნქციონირების საკითხები; დისკურსის პრობლემატიკა; მხატვრულ ტექსტში ავტორისა და პერსონაჟების ენობრივი ცნობიერების (ლინგვოპერსონა) კვლევა;



პროგრამის განსაკუთრებულ ნიშად გვესახება კვლევები კონტრასტულ ჭრილში, კულტურული, სოციალური, ნაციონალური, ეთნიკური, გენდერული და სხვა ლინგვოკულტუროლოგიური თუ სოციოლინგვისტური ფაქტორების, ასევე ენობრივი პოლიტიკის და ენობრივი სიტუაციების საკითხთა გათვალისწინებით (სიღრმისეული შესწავლით); ასეთი ანალიტიკურ-ინტელექტუალური ასპექტების სწორად გააზრება-გაანალიზება, უდავოდ, იქნება დასავლურ ცივილიზაციასთან/საერთაშორისო ურთიერთობის გაღრმავების ერთ-ერთი წინაპირობა.

მაგისტრანტებს შესაძლებლობა ექნებათ, იმუშაონ ასევე დიალექტური კვლევითი პროფილით (დიალექტური მრავაფეროვნებით გრამატიკის თავისებურებების საკითხების სისტემური გამოკვეთა) და/ან ენების დიაქრონიული კვლევითი პროფილით (ენის ისტორიის გათვალისწინებით ენის სურათის შექმნა).

საკვლევი პრობლემა (ნაშრომის სათაური) დაკონკრეტდება, მიზანი, ამოცანები, სიახლე და აქტუალობა განისაზღვრება მაგისტრანტის ინდივიდუალური სამუშაო-კვლევითი გეგმის შედგენისას, მისი სურვილის გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან და სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)თან შეთანხმებით.



მაგისტრანტს სწავლება/სწავლის პროცესის პარალელურად შესაძლებლობა ექნება, ჩაერთოს კურსკულუმის მიღმა განხორციელებულ აქტივობებში: ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები; პროექტები; ფილოლოგიური სემინარები, სტუდენტური დარბაზი; სასწავლო ექსკურსიები და სხვა შემეცნებითი თუ სპორტული ღონისძიებები.



ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით სასწავლო პროგრამა სერვისულად (არჩევით კომპონენტში) სთავაზობს მაგისტრანტებს შემდეგ სასწავლო კურსებს: „უცხო ენა აკადემიური მიზნებისათვის (ინგლისური/გერმანული/რუსული)“ და „სამეცნიერო ტექნიკური და პოლიტიკური დისკურსის თარგმანი“; გათვალისწინებულია აგრეთვე უცხოეთის უნივერსიტეტებში მოღვაწე პროფესორების ჩართულობა/მოწვევა, როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების კიდევ უფრო მეტად წარმატებით მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში, ვორქშოფებში, უცხოენოვან საჯარო ლექციებში, საერთაშორისო მოხილობებში/გაცვლით პროგრამებსა თუ პროექტებში; მოტივაციის ამაღლებას და სწავლისადმი ინტერესის გაღრმავებას; შრომის ბაზზარზე მათ კონკურენტუნარიანობას და კარიერულ წინსვლას.



საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მეტად პერსპექტიულად გვესახება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რადგან თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში კულტურათმორისი ურთიერთობები მეტად აქტუალურია, ეს კი სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევებისადმი განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს და კიდევ უფრო მეტად ზრდის ფილოლოგიური განათლების, ლინგვისტური კვლევების აქტუალობას. მიუხედავად გარკვეული, უკვე დაგროვილი, ცოდნის არსებობისა, ფილოლოგიის დარგში (ლინგვისტიკაში) დასმულ ბევრ კითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ გაუცემელია. კურსდამთავრებულმა შრომის ბაზარზე უნდა დაიკავოს სწორედ ის ნიშა, რომელიც, ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროებს ფართო პროფილის პროფესიონალ ლინგვისტ-ფილოლოგს.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი კვლევები აქტუალურია და ემსახურება არა მარტო ლინგვისტიკის, არამედ, ზოგადად, ფილოლოგიური მეცნიერების განვითარებას. ასევე, ასახავს არა მხოლოდ ლინგვისტური კვლევების სპეციფიკას, არამედ უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო პოლიტიკას / პროფილს ჰუმანიტარული (ინტერდისციპლინური / მულტიენობრივი) კვლევების განვითარებისა და გაღრმავების მიზნით.



- პროგრამა ორიენტირებულია, მაგისტრანტს გამოუმუშავოს საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის (მაგისტრატურის), მეშვიდე დონის, მოთხოვნების შესაბამისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები.
- პროგრამის განხორციელებაში შესაძლებელია სხვა სამეცნიერო-კვლევითი/სასწავლო დაწესებულების პროფესორის ჩართვა უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
- უნივერსიტეტში „ლინგვისტიკის“ სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ცენტრალიზებულად (უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მისი ბიუჯეტი ინტეგრირებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ სტაბილურობასა და მდგრადობას, აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულებას.  
უნივერსიტეტის ფინანსური ადმინისტრაციის მიერ გამოთვლილია პროგრამის გავლის საფასურის მიხედვით მომსახურე აკადემიური და დამხმარე პერსონალის ხელფასები, ასევე მივლინების, სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის და სხვადასხვა მომსახურების ხარჯები (პროგრამის ბიუჯეტი იხილეთ ცალკე).



❖ **პროგრამას დანართის სახით ახლავს:**

- ✓ სასწავლო გეგმა და ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ (დანართი 1.)
- ✓ სწავლის შედეგების რუკა (დანართი 2.)
- ✓ სწავლის შედეგების შეფასების რუკა (დანართი 3.)
- ✓ მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა (დანართი 4.)
- ✓ სამიზნე ნიშნულები კომპეტენციების მიხედვით (დანართი 5.)
- ✓ მისაღები გამოცდების თემატიკა და უცხო ენის ტესტის ნიმუში (დანართი 6.)

**პროგრამას ახლავს აგრეთვე:**

- ✓ სილაბუსები
- ✓ პროგრამის ხელმძღვანელთა და განმახორციელებელთა CV-ები
- ✓ სხვა დამატებითი სავალდებულო დოკუმენტაცია



სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ლინგვისტიკა“  
სასწავლო გეგმა

N	საგნის კოდი	პროგრამის კომპონენტები/ სასწავლო კურსები	დამუშავების წინაპირობა	სავარა უდო სემესტრი	ECTS კრედიტი	საათი		
						საკონ ტაქტო	დამოუკი დებელი	სულ
<b>სასწავლო კომპონენტი - 90 კრედიტი</b>								
I.	<b>ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტები - 60 კრედიტი</b>							
		<b>სასწავლო კურსები</b>			<b>50</b>			
1.	HUS2LHLD	ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია	-	1	5	45	80	125
2.	HUS2LSWMS	მეცნიერული წერა (მაგისტრანტებისათვის)	-	1	5	45	80	125
3.	HUS2LRM	კვლევის მეთოდები	-	1	6	45	105	150
4.	HUS2LAL	გამოყენებითი ლინგვისტიკა	-	1	4	45	55	100
5.	HUS2LLK	ლინგვოკულტუროლოგია	-	2	4	45	55	100
6.	HUS2LAPTL	ტიპოლოგიური ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები	ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტ.	2	6	45	105	150
7.	HUS2LLS	ლინგვისტიკის ისტორია	-	2	4	45	55	100
9.	HUS2LMPS	წინადადების მორფოსინტაქსური პრობლემატიკა	ტიპ. ლინგვისტ. აქტ. პრობლემ.	3	6	45	105	150
10.	HUS2LTL	ტექსტის ლინგვისტიკა	ლინგვისტიკის ისტორია	3	5	45	80	125
11.	HUS2LSL	სოციოლინგვისტიკა	გამოყენებითი ლინგვისტიკა	3	5	45	80	125
	HUS2LPP	<b>პროფესიული პრაქტიკა</b>	I და II სემ. ყველა სავალდ. საგანი	3	<b>10</b>			<b>250</b>
II.	<b>ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 20 კრედიტი</b>							
1.	HUS2LLPH	ენის ფილოსოფია*	-	1	10	45	80	125
2.	HUS2LEAPE / HUS2LEAP / HUS2LEAPGR	უცხო ენა აკადემიური მიზნებისათვის (ინგლისური/გერმანული/რუსული)*	-	1		45	80	125
3.	HUS2LLT	ენა და ტექნოლოგიები*	-	1		45	80	125
4.	HUS2LHGL THMCHK	ქართული ენათმეცნიერების აზროვნების ისტორია და ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები*	-	2	5	45	80	125
5.	HUS2LSTP	სამეცნიერო, ტექნიკური და პოლიტ. დისკურსის თარგმანი*	-	2		45	80	125
6.	HUS2LAPP	ფსიქოლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები *	-	3	5	45	80	125
7.	HUS2LLP	ლინგვისტური პრაგმატიკა*	-	3		45	80	125
III.	<b>თავისუფალი არჩევითი კომპონენტი - 10 კრედიტი</b>							
	(უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამების სასწ. კურსები)							
				2	10			250
	<b>კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი (სავალდებულო)</b>							
IV.	HUS2LMTh	სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა	I-III სემ. სავ. და არჩ. კურსები და პროფ. პრაქტიკა (90კრედიტი)	4	30			<b>750</b>

**❖ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:  
(120 კრედიტი)**

სახელი, გვარი	აკადემიური ხარისხი	სტატუსი	სასწავლო /კვლევითი კომპონენტი
1. ნუნუ გელდიაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	პროფესორი ქართული ენის მიმართულებით	1. კვლევისა მეთოდები 2. მეცნიერული წერა (მაგისტრანტებისათვის) 3. ტექსტის ლინგვისტიკა 4. ტიპოლოგიური ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები 5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
2. მანანა ღარიბაშვილი	პედაგოგიკის დოქტორი (ინგლისური ენის მიმართულება)	პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით	1. გამოყენებითი ლინგვისტიკა 2. ლინგვისტური პრაგმატიკა 3. ფსიქოლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები 4. სამეცნიერო, ტექნიკური და პოლიტიკური დისკურსის თარგმანი 5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
3. ირმა შიოშვილი	ფილოსოფიის დოქტორი	პროფესორი ფილოსოფიის მიმართულებით	1. ენის ფილოსოფია
4. როინ ჭიკაძე	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი	მოწვეული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით	1. წინადადების მორფოსინტაქსური პრობლემატიკა 2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
5. შორენა ლაზვიაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ასოცირებული პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით	1. უცხო ენა აკადემიური მიზნებისათვის (ინგლისური) 2. ტიპოლოგიური ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები 3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
6. ელენე ფილაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ასოცირებული პროფესორი ქართული ენის მიმართულებით	1. ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია 2. ლინგვისტილისტიკა 3. ქართული ენათმეცნიერების აზროვნების ისტორია და ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები 4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
7. თამარ შიუკაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	მოწვეული დოქტორი ინგლისური ენის მიმართულებით	1. სოციოლინგვისტიკა
8. ნინო ძამუკაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ასისტენტ პროფესორი ინგლისური ენის მიმართულებით	1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
9. შორენა წიგნაძე	ფილოლოგიის დოქტორი	ასისტენტ პროფესორი ქართული ენის მიმართულებით	1. ლინგვოკულტუროლოგია 2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
10. ცისანა მოდებაძე	განათლების დოქტორი (გერმანული ენის სწავლების მეთ.)	ასოცირებული პროფესორი გერმანული ენის მიმართულებით	1. უცხო ენა აკადემიური მიზნებისათვის (გერმანული ენა) 2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
11. სედა ასატუროვი	პედაგოგიკის დოქტორი (რუსული ენის მიმართულება)	ასოცირებული პროფესორი რუსული ენის მიმართულებით	1. უცხო ენა აკადემიური მიზნებისათვის (რუსული ენა) 2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა
12. მარიამ ზაქარიაშვილი	პედაგოგიკის დოქტორი (ინფორმატიკის მიმართულება)	ასოცირებული პროფესორი ინფორმატიკის მიმართულებით	1. ენა და ტექნოლოგიები

„ლინგვისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

სავალდებულო კომპონენტის/სასწავლო კურსის დასახელება	შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5	შედეგი 6	შედეგი 7	შედეგი 8	შედეგი 9	შედეგი 10
	1.1.	1.2.	1.3.	2.1.	2.2.	2.3.	2.4.	3.1.	3.2.	3.3.
ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია	X			X	X	X		X		
მეცნიერული წერა (მაგისტრანტებისათვის)		X	X		X	X			X	X
კვლევის მეთოდები		X	X		X	X	X	X	X	X
გამოყენებითი ლინგვისტიკა	X	X		X		X		X		
ლინგვოკულტუროლოგია	X	X	X	X				X		X
ტიპოლოგიური ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები	X	X	X	X	X		X	X		X
ლინგვოსტილისტიკა	X		X		X		X		X	
წინადადების მორფოსინტაქსური პრობლემატიკა	X	X	X	X	X		X	X		
ტექსტის ლინგვისტიკა	X			X		X		X	X	
სოციოლინგვისტიკა	X	X		X	X				X	X
პროფესიული პრაქტიკა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
სამაგისტრო ნაშრომი	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

„ლინგვისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა

სავალდებულო კომპონენტის/ საგნების დასახელება	შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5	შედეგი 6	შედეგი 7	შედეგი 8	შედეგი 9	შედეგი 10
	1.1.	1.2.	1.3.	2.1.	2.2.	2.3.	2.4.	3.1.	3.2.	3.3.
ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია	1			1		1	1	1		
მეცნიერული წერა (მაგისტრანტებისათვის)		1	1		2	2			1	1
კვლევის მეთოდები		2	2		1	1	2	2	2	2
გამოყენებითი ლინგვისტიკა	1	2		1		2			2	
ლინგვოკულტუროლოგია	2	2	2	2				2		3
ტიპოლოგიური ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები	2	2	2	2	2		2	2		2
ლინგვოსტილისტიკა	2		2		2		2		2	
წინადადების მორფოსინტაქსური პრობლემატიკა	3	3	3	3	3		3	3		
ტექსტის ლინგვისტიკა	3			2		3		2	3	
სოციოლინგვისტიკა	2	3		3	2				3	3
პროფესიული პრაქტიკა	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
სამაგისტრო ნაშრომი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3

მითითება: 1-გაცნობა, 2-გაღრმავება, 3-განმტკიცება

„ლინგვისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი 5	პროგრამის სწავლის შედეგი 6	პროგრამის სწავლის შედეგი 7	პროგრამის სწავლის შედეგი 8	პროგრამის სწავლის შედეგი 9	პროგრამის სწავლის შედეგი 10
	1.1.	1.2.	1.3.	2.1.	2.2.	2.3.	2.4.	3.1.	3.2.	3.3.
1	X	X		X	X	X			X	X
2	X		X	X	X			X		
3	X	X				X	X		X	
4			X		X		X	X	X	X

**მიზანი 1: (განმარტეთ მიზანი )**

მოამზადოს ლინგვისტიკის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე, თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული კომპეტენციის, მაღალკვალიფიციური, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე ფილოლოგი (ლინგვისტი), რომელიც გაიაზრებს სფეროს კომპლექსურობას, სპეციფიკას და იქნება განათლების მეორე საფეხურის სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი სპეციალისტი;

**მიზანი 2: (განმარტეთ მიზანი )**

მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ლინგვისტიკის სფეროში, რაც ძირითადად მოიცავს: ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორიის, ენათა ტიპოლოგიის, მორფო-სინტაქსის, ტექსტის ლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ლინგვოსტილისტიკისა და გამოყენებითი ლინგვისტიკის ძირეული საკითხების/ თემების/პრობლემების ფართო სპექტრს; დააუფლოს კრიტიკულ გააზრებას, უახლესი მიღწევების გათვალისწინებით დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას და ინოვაციების შექმნის საფუძვლებს; ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებას და გაუთვალისწინებელ, მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიებას;

**მიზანი 3: (განმარტეთ მიზანი )**

აღჭურვოს აქტუალური ლინგვისტური კვლევითი ნაშრომის დაგეგმვისა და დამოუკიდებლად განხორციელების სიღრმისეული და სისტემური მეთოდოლოგიური ცოდნით; განუვითაროს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ინტეგრაციის, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენების, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვის უნარ-ჩვევები/კომპეტენციები;

**მიზანი 4: (განმარტეთ მიზანი )**

გამოუმუშავოს/სრულყოს ისეთი პიროვნული ღირსებები და მოქალაქეობრივი ღირებულებები (ეროვნების მიუხედავად), როგორცაა: ურთიერთაპატივისცემა, თანადგომა, ჰუმანურობა, სხვისი პროფესიონალიზმის აღიარება და შემდგომ, ამის საფუძველზე, საკუთარი და სხვისი პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა; პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; არაპროფიტიზირებად სასწავლო ან სამუშაო გარემოსთან ადვილად ადაპტირება.



„ლინგვისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები კომპეტენციების მიხედვით

შედეგები	სამიზნე ნიშნული	შენიშვნა
<b>ცოდნა-გაცნობიერება</b>		
1.1. ავლენს ლინგვისტიკის სფეროსთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეულ, სისტემურ თეორიულ ცოდნას უახლეს მიღწევების გათვალისწინებით (ლინგვისტურ მოძღვრებათა თეორიული საფუძვლები; მისი ამოსავალი ცნებები; ლინგვისტიკის ძირითადი მიმართულებები, სკოლები, გამოჩენილ ენათმეცნიერთა თეორიული კონცეფციები და კვლევის მეთოდები; ენათა ტიპოლოგიის, მორფო-სინტაქსის, ტექსტის ლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, გამოყენებითი ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიისა და ლინგვოსტილისტიკის ძირეული საკითხები/თემები/ პრობლემატიკა).	პრობლემის ხედვა, მისი სრულყოფიერება, საკითხის მკაფიოდ დასმა/ჩამოყალიბება, აქტუალობისა და სიახლის გამოკვეთა.	
1.2. სიღრმისეულად განიხილავს თეორიული და ემპირიული ლინგვისტური კვლევის სხვადასხვა ტრადიციულ და უახლეს (თეორიულ და პრაქტიულ) მეთოდს/ასპექტს; თანამედროვე მიდგომებს, ენობრივ ვარიაციას, ენის ცვლილებასა და მის როლს საზოგადოებაში; ფლობს საკვლევი პრობლემის დასმის/განსაზღვრისა და ლინგვისტური კვლევითი ნაშრომის შექმნის მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ ცოდნას.	ლინგვისტური კვლევის მეთოდების სიღრმისეული აღწერა; კლასიფიცირება და მათი დანიშნულების ჩამოყალიბება; ენობრივი ვარიაციებისა და ცვლილებების განხილვა.	
1.3. ცოდნის კრიტიკული გააზრებით და ლინგვისტიკის სფეროში თანამედროვე, უახლესი მიღწევების გათვალისწინებით, მრავალმხრივი ანალიზის შედეგად, ქმნის საფუძველს ინოვაციებისა და ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.	ლინგვისტური პრობლემების ინტერპრეტაცია, კრიტიკული გააზრება, ანალიზი და ინოვაციური აზროვნება; უახლესი მიღწევების გათვალისწინებით ახალი, ორიგინალური იდეების წარმოჩენა.	
<b>უნარი</b>		
2.1. საფუძვლიანად მსჯელობს ლინგვისტიკის სფეროს საკითხებზე, სიღრმისეულად აანალიზებს და გადმოსცემს საკვლევი ენ(ებ)ის სტრუქტურა-ფუნქციონირების ძირითად თავისებურებებს; სისტემურად აღწერს და ხსნის ლინგვისტიკის უახლეს/თანამედროვე პროცესებს; ენათა სხვადასხვა დონეზე ტიპოლოგიის შედეგად გამოკვეთილ იზომორფიზმებსა თუ ალომორფიზმებს; ტექსტს აფასებს და აანალიზებს დისკურსის, ლინგვოკულტურული და სოციოლინგვისტური თავისებურებების გათვალისწინებით.	ენათა სხვადასხვა დონეზე საკვლევი საკითხთა სისტემური აღწერა/ახსნა და დამოუკიდებლად სიღრმისეული ანალიზი/გადმოცემა; პრობლემის დასმა, მისი მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი; ლინგვისტური მოვლენების/ თავისებურებების შეფასება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.	
2.2. ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედებს ადეკვატურად და თავისუფლად; ამჯღავნებს ცალკეული და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის, გადაჭრის გზების მოძიების კომპეტენციას და წარმოადგენს ეფექტურ, ორიგინალურ გზას, იდეასა და ხედვას (მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით).	სხვადასხვა გარემოში ადეკვატური მოქმედება და საკვლევი/საანალიზო საკითხის კომპლექსურად ხედვა/წარმოდგენა; კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების პროცესში ამოცანების გადაწყვეტის/ პრობლემის გადაჭრის ორიგინალური გზების ძიება.	

<p>2.3. კომპლექსურად განსაზღვრავს და პრაქტიკულად იყენებს ენათა სტრუქტურულ კომპონენტებს, ლინგვისტურ ტერმინოლოგიას, საანალიზო/ემპირიული მასალის, საჭირო ლინგვისტური წყაროების მოძიება-დამუშავების ხერხებს; მიზნობრივად სარგებლობს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსებით; ითვალისწინებს თეორიულ დისკურსებს და ლინგვისტური კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებით დამოუკიდებლად ქმნის სტრუქტურულად და შინაარსობრივად გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არსებითი აკადემიური სტანდარტების შესაბამის ორიგინალურ ლინგვისტურ სამეცნიერო ნაშრომს.</p>	<p>საკვლევი თემის სახელწოდების, სტრუქტურის განსაზღვრა და კვლევის ეტაპების პრაქტიკული დაგეგმვა; კვლევის მეთოდები, საანალიზო მასალის მოძიება-დამუშავება; ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსებით სარგებლობა; პრობლემის გადაჭრა; შედეგები, კვლევის საფუძველზე საკუთარი ხედვის ფორმულირება და არგუმენტირებული დასკვნების შემუშავება/ჩამოყალიბება, ნაშრომის გაფორმების სათანადო წესების დაცვა; შესაბამისი წყაროებისა და ციტირებების მითითება.</p>	
<p>2.4. კრიტიკული ანალიზისა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზით, სხვადასხვა ავტორის ხედვის გათვალისწინებით, მეცნიერული ობიექტურობის პრინციპების დაცვით, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობებით, აყალიბებს ზეპირ და წერილობით დასაბუთებულ საკუთარ დასკვნებს და კვლევის შედეგებს, აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვით, წარუდგენს პროფესიულ საზოგადოებას/დარგის სპეციალისტებს.</p>	<p>კვლევის შედეგების შეჯერება და ინოვაციური სინთეზი, მეცნიერული ობიექტურობა/აკადემიური პატიოსნება, წერილი და ზეპირი სამეცნიერო კულტურა; განზოგადებული დასკვნების პროფესიულ წრეებში დემონსტრირება.</p>	
<b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b>		
<p>3.1. ამჟღავნებს ენობრივი/ლინგვისტური მოვლენებისა და ფაქტების დამოუკიდებლად სწავლის, კვლევის, დამუშავებისა და ანალიზის უნარს, რითაც წვლილი შეაქვს აღნიშნული სფეროს დარგობრივი/პროფესიული ცოდნისა და პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში.</p>	<p>დამოუკიდებლად სწავლა, კვლევა, ანალიზი; ლინგვისტიკის სფეროს/პროფესიული ცოდნის განვითარებაში შეტანილი წვლილი.</p>	
<p>3.2. სხვადასხვა (კომპლექსურ/არაპროგნოზირებად) სასწავლო, საქმიან და საკვლევ გარემოში ადაპტირებს შესაბამისი მართვის სტრატეგიული მიდგომებით, მუშაობს ინდივიდუალურად და გუნდურად, მათ შორის განსაზღვრულ ვადებსა და ინტენსიურ რეჟიმში.</p>	<p>სხვადასხვა გარემოში ადაპტირება და მართვის სტრატეგიული მიდგომები; კამათის კულტურა; ინდივიდუალურად და გუნდურად მუშაობა; განსაზღვრულ ვადებსა და ინტენსიურ რეჟიმში მუშაობის პასუხისმგებლობა.</p>	
<p>3.3. პატივს სცემს და აფასებს ეროვნულ და დასავლურ ღირებულებებს; ტოლერანტულია ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ და საკუთარი ხედვის სხვებისადმი (გუნდის წევრების) გაზიარებით პასუხისმგებლობას იღებს საუკეთესო ჩვევების/ქცევის დამკვიდრება-განვითარებასა და მათ პროფესიულ თუ პიროვნულ განვითარებაში.</p>	<p>ლინგვისტიკის პრობლემებზე მუშაობისას საკუთარი ცოდნის, ხედვის გუნდის წევრებისათვის გაზიარება და მათ პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობა. ტოლერანტულობა, ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინება.</p>	

**განმარტება:**

- სტუდენტთა მიღწევებით იზომება, როგორც მათი თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
  - თითოეული სწავლის შედეგისათვის დადგენილი სამიზნე ნიშნული ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეული სწავლის შედეგს ცალკეულ სასწავლო კურსებში დადგენილი შეფასების ფორმისა და მისი მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით;
- ჩვენი მოლოდინით, სტუდენტების საერთო რაოდენობის 60% მიიღებს მაქსიმალური შეფასების 70%-ზე მეტს;

- უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების სისტემა და მათი შედარება ხდება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მიერ შემუშავებულ სტუდენტთა რანჟირების სკალის მონაცემებთან; მაგალითად, შედეგები ითვლება, რომ ნორმალურია, თუ საბოლოოდ:
  1. სტუდენტების რაოდენობა შეფასებით A არ აღემატება საერთო რაოდენობის 10%-ს;
  2. მომდევნო შეფასებები ნაწილდება შემდეგნაირად: B-25%; C-30%; D-25%;
  3. სტუდენტების რაოდენობა შეფასებით E არ აღემატება საერთო რაოდენობის 10%-ს, ანუ სტუდენტების უმრავლესობას საშუალო მოსწრება უნდა ჰქონდეს, ხოლო ძალიან მაღალი და დაბალი ქულები კი – სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10-10%-ს.
- შედარების შემდეგ, 15 % -იანი გადახრის 20%-ზე მეტის შემთხვევაში, დგინდება გადახრების მიზეზები და შემუშავდება რეკომენდაციები (გადაიხედება კურსები, სასწავლო მასალა, შეფასების მექანიზმი და სხვა სხვა საჭირო ინსტრუმენტები).



სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
 ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 27 24 01, ელ. ფოსტა:  
 info@tesau.edu.ge

- ❖ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება  
 ქართულ და ინგლისურ ენებზე - „ლინგვისტიკა“ / Linguistics
- ❖ მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფილოლოგიის მაგისტრი / Master of Philology
- ❖ საფეხური - მაგისტრატურა
- ❖ პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: პროფ. ნუნუ გელდიაშვილი  
 პროფ. მანანა ღარიბაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია: 593 14 64 05 / 551 10 31 14

საგამოცდო საგნის დასახელება: ლინგვისტიკა

### საკითხები მისაღები გამოცდისათვის

- მაქსიმალური ქულა - 100 ქულა
- დადებითი მინიმალური ქულა - 51 ქულა
- იწერება ოთხი თეორიული საკითხი - თითოეული მაქსიმუმ 25 ქულა  
 (საკითხი უნდა გაიშალოს თემის სახით, არგუმენტირებული მსჯელობით, სათანადო მაგალითების მოხმობისა და ანალიზის საფუძველზე).
  - ❖ თითოეული საკითხი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
    1. ადეკვატურობა / შინაარსის სისწორე (მაქსიმუმ 10 ქულა);
    2. ანალიზის უნარი, არგუმენტირება, მსჯელობის ლოგიკურობა (მაქსიმუმ 10 ქულა);
    3. წერიტი მეტყველების კულტურა (მაქსიმუმ 5 ქულა)



1. ენათა წარმოშობა; ენა როგორც პირობით ბგერით ნიშანთა სისტემა; ენა და მეტყველება; სინქრონია და დიაქრონია; სრული და არასრული სისტემები; სისტემის კვლევის მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დედუქციური და ინდუქციური მეთოდები;
2. ენათა დაჯგუფების ზოგადი პრინციპები, ენათა მორფოლოგიური/ტიპოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაცია; ენათა ოჯახები; იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი;
3. ენა, მისი რაობა და ფუნქციები: ექსპრესიული, საკომუნიკაციო და საარტიკულაციო; ვიზუალური და კონცეპტუალური აზროვნება; ბგერითი და არაბგერითი ენები; ცხოველის ენა;
4. ჰუმბოლდტის ენის ფილოსოფია. მოძღვრება ბგერათა კანონებსა და ანალოგიაზე, როგორც ენის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე;
5. ენის მხარეები: ბგერითი, ლექსიკური, გრამატიკული, ფრაზეოლოგიური და სტილური. მათი შემსწავლელი ენათმეცნიერების დარგები;
6. დამწერლობის წარმოშობა. პიქტოგრაფიული, იდეოგრაფიული, ბგერითი (ანბანური) დამწერლობა;
7. ენა და დიალექტი, მათი ურთიერთმიმართება; იდიოლექტი და სოციოლექტი; დიალექტიზმი;
8. სამეტყველო აპარატი; ბგერის არტიკულაცია და საარტიკულაციო ბაზისი; ბგერა, ფონემა და ალოფონი

9. ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემები
10. ძირითადი ფონეტიკური პროცესები, ფონოტაქტიკა, მახვილი, ტონი.
11. სიტყვის მნიშვნელობა და ცნება; რეალური კონტექსტი და სიტყვის მნიშვნელობა
12. აფიქსთა კლასიფიკაცია ადგილისა და ფუნქციის მიხედვით: აფიქსთა სახეობები; დერივაციული და ფლექსიური აფიქსები; გრამატიკული კატეგორიის ცნება
13. ლექსიკის სემანტიკური მიმართებები, სინონიმია და ანტონიმია, პოლისემია და ომონიმია; ევფემიზმი და ტაბუ
14. ნასესხები მასალა ლექსიკურ ფონდში; კალკი
15. მორფოლოგია, გრამატიკული კატეგორიის ცნება; ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები, სახელთა რიცხვის გრამატიკული კატეგორია
16. მორფოლოგია: მორფი-მორფემა-ალომორფი; ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები; სახელთა ბრუნვის გრამატიკული კატეგორია
17. გრამატიკული კატეგორიის ცნება; ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები; ზმნის გრამატიკული კატეგორიები
18. სინტაქსი. წინადადება და წინადადების აქტანტური სტრუქტურა
19. წინადადების წევრები ქართულსა და ევროპულ ენებში. მათი ზოგადი დახასიათება
20. შესიტყვების რაობა; სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების სახეები

**ლიტერატურა:**

- ✓ **თ. გამყრელიძე**, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“, თბ, 2003; თავი პირველი, გვ. 23-26; 29-36; თავი მესამე, გვ. 116-145; თავი მეხუთე, გვ. 246-261; 266-268; 306-312; 327-332; თავი მეშვიდე, გვ. 399-434; თავი მეცხრე, გვ. 522-548; თავი მეთათე, გვ. 603-635.
- ✓ **გ. ნებიერიძე**, ენათმეცნიერების შესავალი, თბ, 1991; გვ. 31- 36; 73- 85; 153-186
- ✓ **არ. ჩიქობავა**, ენათმეცნიერების შესავალი, თბ. 1952;/2008წ.
- ✓ **გ. ახვლედიანი**, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ. 1999;
- ✓ **ალ. ღლონტი**, ქართული ენის ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ.,1988;
- ✓ **ა. შანიძე**, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1981; 1993;
- ✓ **ლ. კვაჭაძე**, ქართული ენა, ნაწილი I, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1981;
- ✓ **ლ. კვაჭაძე**, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977; თბ.,2010;
- ✓ **თ. სანიკიძე, ი. სანიკიძე**, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 2009;
- ✓ **ავ. არაბული**, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004;
- ✓ **ახალი ქართული ენა** (სალიტერატურო ენის მორფოლოგია) ზოგადი. სახელი, წიგნი I. თსუ, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი გ. გოგოლაშვილისა და ავთ. არაბულის რედაქციით, თბ., 2016;
- ✓ **ახალი ქართული ენა** (სალიტერატურო ენის მორფოლოგია) ზოგადი. ზმნა, წიგნი II. თსუ, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი გ. გოგოლაშვილისა და ავთ. არაბულის რედაქციით, თბ., 2016.

